TDI

რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2025 წლის ივნისი

რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2025 წლის ივნისი

მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ (TDI)
www.tdi.ge

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) აგრძელებს დაკვირვებას რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულ გარემოზე. მონიტორინგი მოიცავს საჯარო უწყებების, პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების, საჯარო პირების, სასულიერო პირებისა და რელიგიური ინსტიტუტების განცხადებებსა და აქტივობებს.

წინამდებარე მიმოხილვა ასახავს 2025 წლის **ივნისის პერიოდს.**

ასევე შეგიძლიათ, იხილოთ რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით მონიტორინგის

2024 წლის ანგარიშები:

წინაასარჩევნო პერიოდი
25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე
25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე

არჩევნების შემდგომი პერიოდი
26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე
26 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე

2025 წლის ანგარიშები:
26 დეკემბერი, 2024 - 2025 წლის 31 იანვარი
თებერვალი
მარტი
აპრილი
მაისი

ფოტო გარეკანზე: გიორგი არჯევანიძე; © PHOTO GIORGI ARJEVANIDZE / AFP

შინაარსი

მთავარი ტენდენციები 5

1. „ქართული ოცნების“ მიერ რელიგიითა და იდენტობით პოლიტიკური მანიპულაცია 6

1.2. ევროკავშირის დემონიზება 6

1.2.1. ევროსკეპტიციზმი 7

1.2.2. ვიზალიბერალიზაცია 9

2. „ქართული ოცნებისა“ და მისი პროპაგანდისტების ანტისემიტიზმი 10

3. არასამთავრობო ორგანიზაციების დევნა და ახალი რეპრესიული ცვლილებები კანონმდებლობაში 13

3.1. არასამთავრობო ორგანიზაციების დევნა 13

3.2. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა 15

4. მართლმადიდებელ ეპისკოპოსსა და „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსანს შორის დაპირისპირება 16

გიორგი ჯამდელიანის საქმე 16

5. მართლმადიდებელი სასულიერო პირების განცხადებები პოლიტიკურ რეპრესიებსა და შეუწყნარებლობაზე 18

მთავარი ტენდენციები

საანგარიშო პერიოდში, „ქართული ოცნება“ და მისი პროპაგანდისტები კვლავ მანიპულირებდნენ ფსევდორელიგიური ნარატივებით და მმართველ პარტიასა და მის სატელიტებს წარმოაჩენდნენ ქრისტიანობისა და ტრადიციების მცველ პოლიტიკურ ძალად. მათი რიტორიკის მიხედვით, ევროპა დაცლილია ქრისტიანული ღირებებულებებისგან და ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართველების ეროვნულ იდენტობას, ღირებულებებს, მართლმადიდებლობას, ტრადიციებსა და სუვერენიტეტს. ევროკავშირის წარმომადგენლობა და ელჩი კი „დიფ სთეითის“ დავალებებს ასრულებენ და საქართველოს შიდა პოლიტიკაში ერევიან.

ამავე პერიოდში ანტიდასავლურმა გზავნილებმა აგრესიული ანტისემიტური ფორმაც მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინაში რუსეთის მიერ სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ, „ქართული ოცნება“ და მის გარშემო შემდგარი პროპაგანდისტული ქსელი სისტემატურად ავითარებენ შეთქმულების თეორიებზე დაფუძნებულ ანტიდასავლურ ნარატივებს. ე.წ. „გლობალური ომის პარტიისა“ და „დიფ სთეითის“ შესახებ რიტორიკა ეხმიანება კრემლის საინფორმაციო ომს, რომელიც დასავლეთს, აშშ-სა და უკრაინას წარმოაჩენს ერთიან მტრულ გაერთიანებად მართლმადიდებლური სამყაროს წინააღმდეგ.

ბოლო ორი თვის განმავლობაში, ამ ნარატივმა რადიკალური ანტისემიტური შინაარსი მიიღო: „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტებმა ღიად დაუკავშირეს ებრაული წარმოშობა ე.წ. „ოლიგარქიული ოჯახების“ მსოფლიო ბატონობას, საერთაშორისო ომებს და ეროვნული იდენტობების განადგურების მცდელობას. პოლიტიკური და მედია პლატფორმების საშუალებით, ისინი ავრცელებენ კონსპირაციულ თეორიებს იმის შესახებ, რომ დემოკრატიულ ქვეყნებს, მათ შორის ევროკავშირის და ნატოს სახელმწიოებს, კულისებიდან მართავენ ებრაული წარმოშობის „ოლიგარქიული ოჯახები“, იგივე „დიფ სთეთი“, რომელთა მიზანი ევროპის ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს *„გადაგვარებაა, პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური, ზნეობრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით“*.

აგრესიული ანტიდასავლური პროპაგანდის ფონზე, საანგარიშო პერიოდში, „ქართულმა ოცნებამ“ აამოქმედა „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ და ავტორიტარული კანონებით შეძენილი სადამსჯელო მექანიზმების გამოყენება დაიწყო არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ. პარალელურად, „ქართული ოცნების“ ლიდერები აგრძელებდნენ სამოქალაქო სექტორის დემონიზებას, თითქოს არასამთავრობო ორგანიზაციები, „გარე ფარული“ და „უცხოური გაუმჭვირვალე დაფინანსებით“, სუვერენიტეტს, ეკლესიას, ტრადიციებს და ღირებულებებს ებრძვიან. ასევე „ქართული ოცნების“ პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო ახალი ანტიდემოკრატიული და

ანტიკონსტიტუციური საკანონმდებლო ცვლილებები „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლითაც მკვეთრად უარესდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტი. ამ შეზღუდვების მთავარი მიზანი კრიტიკული ხმების ჩახშობაა, მათ შორის, „ქართული ოცნების“ სატელიტების თქმით, ე.წ. „ნეოლიბერალური აგენტურისგან“ ეკლესიისა და პატრიარქის დაცვა.

დადებითი ტენდენცია საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნდა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილი კვლავინდებურად კრიტიკულად ეხმაურებოდა „ქართული ოცნების“ ანტიდემოკრატიულ, ანტიევროპულ კურსსა და პროპაგანდისტულ რიტორიკას, და ავრცელებდა პოლიტიკური პატიმრების მხარდამჭერ განცხადებებს საჯარო წერილებსა და ქადაგებებში.

1. „ქართული ოცნების“ მიერ რელიგიითა და იდენტობით პოლიტიკური მანიპულაცია

საანგარიშო პერიოდში, „ქართული ოცნება“ კვლავ მანიპულირებდა ფსევდორელიგიური ნარატივებით და თავს წარმოაჩენდა ქრისტიანობისა და ტრადიციების მცველ ერთადერთ პოლიტიკურ ძალად. „ქართული ოცნების“ განცხადებებით, „გარე ძალა“, იგივე „დიფ სთეითი“ „უცხოური დაფინანსებით“ საქართველოში ებრძვის მართლმადიდებელ ეკლესიას და მისი მიზანია, რელიგიის „*ფსევდოლიბერალური, ე.წ. ლგბტ-იდეოლოგიით*“ ჩანაცვლება. ამ პროპაგანდით, „ქართული ოცნება“ ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების სახით, მტრის კონსპირაციულ ხატს ქმნის და საქართველოს წარმოაჩენს იზოლაციურ კონტექსტში.

1.2. ევროკავშირის დემონიზება

„ქართული ოცნებისა“ და მისი სატელიტი პარტიების თქმით, ევროპა დაცლილია ქრისტიანული ღირებებულებებისგან და ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართველების ეროვნულ იდენტობას, ღირებულებებს, ტრადიციებსა და სუვერენიტეტს. ევროკავშირის წარმომადგენლობა და ელჩები კი „დიფ სთეითის“ დავალებებს ასრულებენ და საქართველოს შიდა პოლიტიკაში ერევიან. „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის თქმით, „...*ჩვენ შევუკვეთეთ ევრო სტანდარტები, ევროსამართალი და რა ჩამოგვივიდა, ჩამოგვივიდა ევროზიზღი, ევროძალადობა, ევროპროპაგანდა.*“

შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარე, 7 ივნისი: „...როდესაც საქართველოს პარტნიორი ქვეყნების ელჩები თავიანთ უფლებამოსილებებს აჭარბებენ, ჩვენი ერთადერთი გზა, **ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვაა**. ქართველებს, საბჭოთა პერიოდიდან, ჯერ კიდევ კარგად გვახსოვს კომუნისტური პარტიის ე.წ. მეორე მდივნის ინსტიტუტი, რომელიც ექსკლუზიურად მოსკოვიდან ინიშნებოდა და საქართველოს შიდა საქმეებში გადამწყვეტი სიტყვა ჰქონდა. ამ მტკივნეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენ, „მეორე მდივანს“, დანახვისთანავე ვცნობთ.

მამუკა მდინარაძე, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, 29 ივნისი: „ჩვენთვის ევროპა და ევროპულობა არის **ქრისტიანული ღირებულებების, ოჯახის და მშობლების, სარწმუნოების პატივსცემა,** სამშობლოს განცდა საკუთარი ქვეყნის და ხალხის პატივისცემა, საჭირო გახდა ამისი დისტრიბუცია ევროპაში, რადგან ევროპელმა ლიდერებმა დღეს, ისევ იმ სიტყვას გავიმეორებ, სამწუხაროდ მთლიანად გამოფიტეს ევროპა ევროპელობისგან.“

ხალხის ძალა, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტია, 23 ივნისი: „...ასეა თუ ისე, დღეს საქართველოში ევროკავშირს წარმოადგენს ადამიანი, რომელიც სრულად დაცლილია იმ ევროპულობისა და ევროპული ღირებულებებისგან, რასაც უნდა წარმოადგენდეს, ისევე, როგორც მისი პატრონი, „დიფ სთეითის“ მიერ მართული ოფიციალური ბრიუსელი. ევროკავშირის ბიუროკრატიამ კარგა ხანია ჩამოიხსნა ნიღაბი და „დიფ სთეითის“ დავალებით, უკვე ღიად ებრძვის საქართველოს სუვერენიტეტს…“

დავით ქართველიშვილი, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, 22 ივნისი: „...**ევროპაში ლგბტ იდეოლოგია, ნელ-ნელა მოდის საპირწონედ ტრადიციული, ქრისტიანული ფასეულობებისა და ღვთისმსახურებას ანაცვლებს ლგბტ აღლუმებით და პრაიდებით.** კაცობრიობის შექმნის ბიბლიურ ისტორიას, გენდერული მრავალფეროვნების რაღაც გამოგონილი თეორიებით ანაცვლებს… ხდება აღრევა კულტურების, რაც კიდევ უფრო დიდ დარტყმას აყენებს ტრადიციულ ქრისტიანობას, რომელსაც ფაქტობრივად პულსიც კი არ ეზომება ევროპის კონტინენტზე.“

1.2.1. ევროსკეპტიციზმი

3 ივნისს, მედიის მიერ ევროკომისიის საზოგადოებრივი აზრის, „ევრობარომეტრის“ სტანდარტული კვლევის შედეგები გავრცელდა. „ევრობარომეტრის“ კვლევა საქართველოში 2025 წლის 27 მარტიდან 15 აპრილამდე ჩატარდა, რა დროსაც 1011 რესპონდენტი გამოიკითხა. აღნიშნული კვლევის მიხედვით, გასული წლის შემოდგომიდან ევროკავშირისადმი ნდობა

საქართველოში (58%) 9%-ით შემცირდა და 49% შეადგინა. 4 ივნისს გამოცემა Civil.ge-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოში ევრობარომეტრისთვის კვლევა GORBI-მ ჩაატარა, რომელიც სამთავრობო და პროპაგანდისტული ტელეკომპანია „იმედისთვის“ წინასაარჩევნო კვლევებსა და ეგზიტპოლებს ატარებს. აღსანიშნავია, რომ „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA)“ ივნისის თვეში ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 83% ევროკავშირში საქართველოს გაწევრების მხარდამჭერია.
„ქართული ოცნების“ და მისი სატელიტი პარტია „ხალხის ძალის“ წევრებმა ნდობის შემცირების მაჩვენებელი ევროკავშირის საწინააღმდეგო გზავნილებისთვის გამოიყენეს. მათი რიტორიკის მიხედვით, „ევროპული ღირებულებები“, „მეორე ფრონტის“ გახსნის მოთხოვნა, „ეკლესიასთან დაპირისპირება“ და „ჰომოსექსუალობის პროპაგანდის დაკანონება“ წინააღმდეგობაში მოდის ქართულ ღირებულებებთან.

> დიმიტრის სამხარაძე, „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, 5 ივნისი: „ევროკავშირში გაწევრიანების მსურველებმა უბრალოდ კი არ დაიკლო, არამედ რეიტინგი კატასტროფულად არის დავარდნილი! მეტიც, ხალხში გაღიზიანებასაც იწვევს და ვინმეს შეიძლება უკვირდეს? როდესაც საქართველოს მოსახლეობას ევაჭრებიან, თან ვაჭრობის საგანი რა არის? შემოგიშვებ თუ ომს დაიწყებ, **ეკლესიას დაუპირისპირდები,** ჰომოსექსუალების პროპაგანდას დააკანონებ, იმ კორუმპირებული ევრო ჩინოვნიკების მონა იქნები, რომლებიც დიფსთეითის მოსყიდულების რიგებში არიან! პავლიკა ჰერჩინსკი რომ გყავს წარმომადგენელი, რომელიც უკვე ნაცზე მეტი ნაცი გახდა, ლელოელ თაღლითებზე მეტი თაღლითი და გახარია მაზაკვალზე მეტი მაზაკვალი, არ უნდა გიკვირდეთ! ვერ დაგვიმონებთ ვერასოდეს და შეეგუეთ! საქართველოს განადგურება თქვენზე მაგრებსაც უნდოდათ, მაგრამ ვერ გადაგვაშენეს და არც თქვენ წამოგარტყმევინებთ თავში ხელს!..“

> გურამ მაჭარაშვილი, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის, „ხალხის ძალის“ წევრი, 4 ივნისი: „...როდესაც ქართველ ადამიანს ეუბნები, რომ ოჯახის ნაცვლად ლგბტ პროპაგანდას მიჰყოს ხელი და პარტნიორობის ნაცვლად ვასალობას სთავაზობ, მშვიდობის ნაცვლად კი ომისა და ქვეყანაში მეორე ფრონტის გახსნის არჩევას, რა თქმა უნდა, ასეთ **„ევროპულ ღირებულებებს“** ქართველი ადამიანი არ მიიღებს. მით უმეტეს, რომ ძალიან კარგად ვიცით საქართველოში, თუ რა არის ევროპული და ქართული ღირებულებები. სწორედ ამ ყველაფერმა გამოიწვია არა ევროპის, არამედ ევროკავშირის ბიუროკრატიის მიმართ ასეთი უნდობლობა.“

1.2.2. ვიზალიბერალიზაცია

11 ივნისს, პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა პოლონეთის პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოსვლისას, უკანონო მიგრაციასთან დაკავშირებით საუბრისას, საქართველოს შესახებაც ილაპარაკა და თქვა, რომ ევროკავშირის მასშტაბით საჭირო უმრავლესობას შეკრავს, რათა შეზღუდოს ან შეაჩეროს უვიზო მიმოსვლა სხვადასხვა ქვეყანასთან, მათ შორის, საქართველოსთან. მიგრაციის საკითხთან ერთად, საქართველოს შემთხვევაში, მან ხაზი გაუსვა "ქართული ოცნების" ავტორიტარული მმართველობის გამო, ევროკავშირის სტანდარტებთან შეუსაბამობას.

„ქართული ოცნების" პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ დონალდ ტუსკის განცხადებას „შანტაჟი" და „მუქარა" უწოდა. პარტიის ლიდერების თქმით, ბრიუსელი უვიზო რეჟიმს „ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ" იყენებს. „ქართული ოცნების" სატელიტმა პარტია „ხალხის ძალამ" კი, ვიზალიბერალიზაციის შეჩერების პოტენციური საფრთხის საკითხი ანტიდასავლური გზავნილების გასავრცელებლად გამოიყენა. მათი თქმით, ვიზალიბერალიზაციის საპირწონე „მეორე ფრონტის" გახსნა, „კაცების ქორწინების" დაკანონება, „ტრადიციებისა და ეკლესიის" შეურაცხყოფაა.

> გურამ მაჭარაშვილი, „ქართული ოცნების" სატელიტი პარტიის, „ხალხის ძალის" წევრი, 22 ივნისი: „...როცა ევროკავშირის ბიუროკრატიისგან გვესმის პირდაპირი მუქარა, რომ ვიზალიბერალიზაციას შეგვიჩერებენ, თან ამ შეჩერების სისტემას ცვლიან - ვითომ, ნაწილობრივ, რომ შეგვიჩერონ, ანუ, ფაქტობრივად, წვალობენ, ამით შეიძლება პირდპირ ითქვას, რომ ისინი ქართველი ხალხის წინაშე საკითხს ასე სვამენ: ან ვიზალიბერალიზაცია გვექნება, ოღონდ მეორე ფრონტი უნდა გავხსნათ, კაცების ქორწინება დავაკანონოთ და ტრადციიებსა და ეკლესიას ვაგინოთ, ან ვიზალიბერალიზაცია შეგვიჩერდება. რომელი ჭკუათმყოფელი ადამაინი იტყვის საქართველოში, რომ მშვდობას გაცვლის ომზე, ოღონდ ვიზალიბერალზიაცია ჰქონდეს?"

2. „ქართული ოცნებისა“ და მისი პროპაგანდისტების ანტისემიტიზმი

უკრაინაში რუსეთის მიერ სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ, „ქართული ოცნება“ სისტემატურად ავითარებს პროპაგანდისტულ დისკურსს **„გლობალური ომის პარტიისა“ და „გლობალური იდეოლოგიის“** შესახებ, რომელიც საქართველოში სუვერენიტეტს, რელიგიურ იდენტობას და ტრადიციებს ებრძვის. „დიფ სთეითი“ მათ რიტორიკაში კოლექტიური დასავლური მტრული ძალის მთავარ აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. სინამდვილეში, „ქართული ოცნება“ ეყრდნობა კრემლის ნარატივს, სადაც „საიდუმლო ელიტები“, „აშშ-ს დიფ სთეითი“ და „ნაცისტური უკრაინა“ კონსპირაციულად იბრძვიან რუსეთის, მისი მოკავშირეებისა და მართლმადიდებელი სამყაროს წინააღმდეგ. კრემლი ასევე მანიპულაციურად იყენებს ნარატივებს უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის ებრაულ წარმოშობაზე, ომში ეთნიკური ებრაელების დასადანაშაულებლად. ისრაელ-ირანის ომის დაწყების შემდეგ, „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტებმა დააკონკრეტეს, თუ ვის გულისხმობენ „დიფ სთეითსა“ და „გლობალური ომის პარტიაში“ – მათი განცხადებებით, მსოფლიოში მიმდინარე ომებისა და ყველა უარყოფითი ხდომილების უკან, ე.წ. **„ოლიგარქიული ოჯახები“**, ანუ **ებრაელები** დგანან. მაგალითად, 12 ივნისს სოციალურ ქსელში გავრცელდა აუდიო ჩანაწერი, რომელიც მოქალაქის ცნობით, უკრაინაში მებრძოლ მის მეგობარს „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრმა დიტო სამხარაძემ გაუგზავნა[1]. სავარაუდო ჩანაწერში ისმოდა ქართველი მებრძოლების მიმართ მუქარა და გინება, ხოლო პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის მიმართ ანტისემიტური ლექსიკა. სავარაუდოდ სამხარაძე იყენებდა ანტისემიტურ, შეურაცხმყოფელ და დამაკნინებელ ტერმინებს *(მაგალითად, „ურია“)* პრეზიდენტ ზელენსკის, მისი თქმით, ებრაული წარმოშობის შესახებ.

13 ივნისს კი ქართული ოცნების პროპაგანდისტმა გოგა ხაინდრავამ სამთავრობო პროპაგანდისტულ არხ POSTV-ზე, შალვა რამიშვილთან სტუმრობისას, ისრაელი-ირანს შორის ომზე საუბარი ანტისემიტური განცხადებებით დაიწყო. ხაინდრავას თქმით, „დიფ სთეითმა“ და **„ოლიგარქიულმა ოჯახებმა“ ისრაელიც კი გაწირეს, საიდანაც ისინი წარმოშობით არიან“.** მისი თქმით, „ოლიგარქიული [ებრაული] ოჯახები“ მართავენ საერთაშორისო პოლიტიკას კულისებიდან („დიფსთეითი“) და მსოფლიოს ომში ითრევენ. გოგა ხაინდრავას განცხადება იმეორებს კლასიკური ანტისემიტიზმის შეთქმულების თეორიას და მითს მსოფლიოზე ებრაული ბატონობის შესახებ[2]. გოგა ხაინდრავას განცხადებას, რომ „დიფ სთეითი“ არის

---

[1] მედიაში არ გავრცელებულა ინფორმაცია, დიტო სამხარაძის მიერ, ამ სავარაუდო ფაქტის არც დადასტურების და არც უარყოფის შესახებ.

[2] ჰოლოკოსტის ხსოვნის საერთაშორისო ალიანსის (IHRA) განმარტებით, *ანტისემიტიზმი* ხშირად მოიცავს შეთქმულების თეორიებს, რომ ებრაელები ზიანს აყენებენ კაცობრიობას და ადანაშაულებს ებრაელებს, როდესაც მსოფლიოში რაიმე უარყოფითი მოვლენა ხდება. "ქართული ოცნების" პროპაგანდისტი სწორედ კოლექტიურ პასუხისმგებლობას აკისრებს ებრაელებს *(„საიდანაც წარმოშობით არიან მთელი ეს ოჯახები“ [ისრაელი])* და აკავშირებს გლობალურ ბოროტ ძალებთან.

ებრაული წარმოშობის ოლიგარქიული ოჯახები, წინ უძღოდა „ქართული ოცნების“ სხვა პროპაგანდისტების განცხადებები ამავე თემაზე. მაგალითად, „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტმა ზაზა შათირიშვილმა 3 აპრილს, თავის წერილში ვრცლად განმარტა, რომ „სისხლიანი ომების“ ინიციატორი „გლობალური ომის პარტია“, იგივე „დიფ სთეითია“, რომელიც ევროპას და ამერიკას ინსტრუმენტად იყენებს. „*მათ უკან კი 15-მდე ოლიგარქიულ ოჯახს მოიაზრება, რომლებიც ქონებას ასწლეულების მანძილზე ქმნიდნენ და დღეს ტრილიონობით დოლარის აქტივებს მართავენ.*“ - აღნიშნა მან. მისი თქმით, ეს „ოჯახები“ სწორედ ომების წარმოებით მდიდრდებიან. შათირიშვილს არ დაუკონკრეტებია, ვინ იყვნენ „ოლიგარქიული ოჯახები“ და თქვა, რომ მათ მომავალში დაასახელებდა, თუმცა მის წერილში აგებული პროპაგანდა და კონსპირაციული თეორიები, რომ ეს ძალები მართავენ მსოფლიოს, პოლიტიკას, ეკონომიკას და ა.შ., თანხვედრაშია ანტისემიტური შეთქმულების თეორიებთან. შათირიშვილის პროპაგანდა ქართული ოცნების სატელიტი პარტიის, „ხალხის ძალის“ წარმომადგენლემა, დავით ქართველიშვილმა გააგრძელა 10 ივნისის წერილში, სადაც აღნიშნა, რომ „დიფ სთეითი“ „ოლიგარქიული ოჯახების“ მიერ იმართება, რომელთა მიზანი **სახელმწიფოების გაუქმება და კორპორაციული მმართველობის დაწესებაა.** ქართველიშვილის თქმით, „*დღეს ევროპის ქვეყნების 90%-ს „დიფ სთეითის“ აგენტურა მართავს,*“ და მათი მიზანი, „*ევროპის ქვეყნების გადაგვარებაა, პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური, ზნეობრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით.*“

11 ივნისს, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის, „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წარმომადგენელმა, ნანა კაკაბაძემ ასევე ისაუბრა **გლობალისტების მმართველობაზე,** „*რომელიც არ ცნობს არსებობის დემოკრატიულ ფორმებს, ტრადიციულ ღირებულებებს, ლიბერალიზმის კლასიკურ გაგებას*“, ხოლო საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნების „*ბრძოლა საკუთარი რწმენის, ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვისათვის ავტომატურად იწვევს დაპირისპირებას გლობალისტებთან*“.

15 ივნისს, TV იმედმა, გადაცემა „იმედის კვირაში“, ვრცელი რეპორტაჟი მიუძღვნა „დიფ სთეითის გეგმას.“ წამყვანის თქმით, რეპორტაჟი ინსპირირებული იყო შათირიშვილის ვრცელი წერილით და დავით ქართველიშვილის ექსპერტული შეფასებებით. რეპორტაჟის მთავარი გზავნილია, რომ „გავლენიანი ოჯახები“ ცდილობენ საბოლოოდ *გააქრონ „სახელმწიფოს ცნება და დააკანონონ დიფ სთეითის კორპორაციული მმართველობა“*, ხოლო სახელმწიფოები ამ ოჯახების მარიონეტებად იქცნენ, რომელთაც დაკარგული აქვთ სუვერენიტეტი და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა.

შეთქმულების თეორიების პროპაგანდის ეს ვრცელი რეპორტაჟი ისრაელ-ირანის ომის კადრებითა და ტექსტით დასრულდა: „*კორპორატიული წარმატების, არნახული ფულადი, ენერგო თუ სხვა სიმდიდრის მოხვეჭის სურვილით შეპყრობილმა ოლიგარქიულმა ოჯახებმა კაცობრიობა კიდევ ერთი უმძიმესი კრიზისის წინაშე დააყენეს. ნახევარი მსოფლიო ცეცხლის ალშია გახვეული. პოლიტიკოსებს აღარ შესწევთ ძალა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები მიიღონ, რათა შეწყვიტონ ნამდვილი სიგიჟე, რაც თუნდაც ჩვენი რეგიონის მახლობლად*

ხდება. პროცესები, რომლებსაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ეწირება და სულ უფრო მეტი ექსპერტი საუბრობს იმაზე, თუ როგორ ახლოსაა ბირთვული კატასტროფა“.

ოლიგარქიული ოჯახების მმართველობას პროპაგანდისტმა, ზაზა შათირიშვილმა, 17 ივნისს კიდევ ერთი ღია წერილი მიუძღვნა და აღნიშნა, რომ „დიფ სთეითი“, „*იგივე* ***არაფორმალური ოლიგარქები*** *არიან კონკრეტული სახელები და გვარები, კონკრეტული ოჯახები და დინასტიები, რომლებსაც თავი ნახევრად ღმერთებად მიაჩნიათ, ხოლო ჩვენ, დანარჩენი ადამიანები* ***მათთვის ეგრეთ წოდებული „გოები“,*** *ცხოველის დონემდე დასული არსებები ვართ“ [...] „სანამ ჩვენ ვინარჩუნებთ ეროვნულ იდენტობას, სანამ ჯერ კიდევ ქალი ქალია, ხოლო კაცი კაცი, სანამ გვაქვს რწმენა და მაღალი მატერიალური მიზნები, იქამდე ჩვენი დამარცხება და მათ სამსახურში მონებად ჩაყენება ძალიან რთული იქნება ისეთი ძლევამოსილი ოჯახებისთვისაც კი, როგორიც ოლიგარქიული დიქტატორები არიან“* - ამ წერილში კონკრეტული პირების დასახელების გარეშე, „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტმა კიდევ ერთხელ გაიომეორა ანტიდასავლური და ანტისემიტური შეთქმულების თეორიები და „გოების“ ხსენებით, დააკონკრეტა, რომ „დიფ სთეითის“ ოლიგარქიულ ოჯახებში, სწორედ ებრაელები იგულისხმებიან.

3. არასამთავრობო ორგანიზაციების დევნა და ახალი რეპრესიული ცვლილებები კანონმდებლობაში

3.1. არასამთავრობო ორგანიზაციების დევნა

საანგარიშო პერიოდში, „ქართულმა ოცნებამ“ არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყო. 1 ივნისიდან „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ კანონი ამოქმედდა. „ქართული ოცნების“ განმარტებით, კანონი ამერიკული FARA-ს ანალოგია, თუმცა სინამდვილეში, არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების წინააღმდეგ არის მიმართული, და მიზნად ისახავს, დამოუკიდებელი და კრიტიკული სამოქალაქო საზოგადოების უკიდურეს შეზღუდვას, მათ შორის სისხლისამართლებრივი დევნის გზით.
ივნისის თვეში, ანტიკორუფციულმა ბიურომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ რუსული კანონების აღსრულება დაიწყო. 8 არასამთავრობო ორგანიზაციამ[3], თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეების მიერ გაცემული ბრძანებები მიიღო, რომლის მიხედვითაც, სასამართლომ დააკმაყოფილა ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობა და საქართველოში არსებული კერძო თუ სახელმწიფო უწყებებიდან და ბრძანების ადრესატი ორგანიზაციებიდან გამოითხოვა სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური შინაარსის მქონე ინფორმაცია, მათ შორის ამ ორგანიზაციების დაცვის ქვეშ მყოფი ადამიანების პერსონალური მონაცემები – წამების მსხვერპლების, ძალადობის მსხვერპლი ქალების, მოსწავლეების, სტუდენტების, მასწავლებლების, პენსიონერების, შშმ პირების, მეწარმეების, მამხილებლების, ჟურნალისტების, დამკვირვებლების, უკანონოდ გათავისუფლებული საჯარო მოხელეების შესახებ. ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობა და სასამართლო ბრძნანებები წინააღმდეგობაში მოდის როგორც საქართველოს კონსტიტუციასთან და სასამართლო ბრძანებაში დასახელებულ ბრძანებებთან, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან. მიუხედავად ამისა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული ბრძანებები.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შიდა ავტონომიაში უკანონო ჩარევისა და კონტროლის პარალელურად, „ქართული ოცნება“ აგრძელებდა არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაციას, რისთვისაც კვლავ მანიპულაციურად იყენებდა მართლმადიდებელი ეკლესიის სახელს. მათი მთავარი გზავნილია, რომ არსებობს **„გარე ფარული“ და „უცხოური გაუმჭვირვალე დაფინანსება“,** რომელიც საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით, სუვერენიტეტს, ეკლესიას, ტრადიციებს და ღირებულებებს ებრძვის.

[3] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, „საფარი“, “სამოქალაქო საზოგადოების ფონდი”, “ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი”, “საქართველოს მომავლის აკადემია”, “მედიის განვითარების ფონდი”, “სოციალური სამართლიანობის ცენტრი” და “სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება”.

ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლა, 27 ივნისი: „...მინდა, შევეხო ერთ მნიშვნელოვან საკითხს. გარედან მუდმივი რყევის ფონზე ვიღაცებმა ჩათვალეს, რომ სახელმწიფო იყო დასუსტებული და გადაწყვიტეს, ეძალადათ სახელმწიფოზე. მათ შორის ამის გამოვლინება იყო ნოემბერ-დეკემბრის მოვლენებიც. რატომღაც ძალიან ბევრი სუბიექტი იყო დიდ გულზე ჩვენს სახელმწიფოსთან. ჩვენ ვხედავდით მცდელობებს, რომ **გარედან დაესუსტებინათ სახელმწიფო ინსტიტუტები**, ფარული დაფინანსებით გაეკეთებინათ ეს ყველაფერი, **გარე ფარული დაფინანსებით ცდილობდნენ**, შეერყიათ ჩვენი ეკლესიის რეპუტაცია, აფინანსებდნენ ლგბტ პროპაგანდას, პოლიტიკურ აქციებს და ა.შ. ეს ყველაფერი ხდებოდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისგან ფარულად. რატომღაც გადაწყვიტეს, რომ ეს ყველაფერი გაუვიდოდათ და ეს ყველაფერი იქნებოდა შესაძლებელი.“

ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, 30 ივნისი: „...ბევრი რამ აქვთ დასამალი [არასამთავრობო ორგანიზაციებს]. რეალურად, არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ზუსტად ის სტანდარტი მოქმედებს, რაც მთელი ამ წლების განმავლობაში პოლიტიკური პარტიების მიმართ მოქმედებდა. იქ რატომ არ აინტერესებდათ არც პერსონალური ინფორმაცია და არც არაფერი? რეალურად, ზუსტად იმ ინფორმაციის გამოთხოვა ხდება, რომელსაც ანტიკორუფციული სამსახური მთელი ამ წლების განმავლობაში გამოითხოვდა პოლიტიკური პარტიებისგან. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, თითიდან გამოწოვილი საბაბია. **სინამდვილეში, „ენჯეოებს“ და მათ პატრონებს ძალიან ბევრი რამ აქვთ დასამალი**. მათ შორის ის, რომ **უცხოური გაუმჭვირვალე დაფინანსებით,** ისინი ჩვენს ქვეყანაში ნარკომანიის გავრცელებას ახალისებდნენ, აწყობდნენ რევოლუციებს, **ებრძოდნენ ეკლესიას,** სახელმწიფო ინსტიტუტებს და ა.შ. ეს არის დასამალი, რის გამოც ისინი გაურბიან შესაბამისი დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროვებას.“

ირაკლი ზარქუა, „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, 11 ივნისი: „ბუნებრივია კრიტიკა არ შეწყდება, იმიტომ რომ სწორედ ეს ორგანიზაციები და ეს ადამიანები იყვნენ, ვინც ამ რადიკალებს ახალისებდნენ ძალადობისკენ. ჩვენ ვნახეთ როგორ აფინანსებდნენ მათ შორის USAID-ის ცალკეული პროგრამები. მადლობა კიდევ ერთხელ ტრამპის ადმინისტრაციას, რომ კიდევ უფრო მეტად გააშიშვლა რასაც ჩვენ ვამბობდით. ახლა, ეს ასე ვთქვათ, მედროშეობა ამ **რადიკალების დაფინანსების**, კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა მათ შორის ევროკავშირის ფონდებიდან. მადლობა ღმერთს, ჩვენ მივიღეთ დროულად გრანტების შესახებ კანონი, რომელიც კიდევ უფრო მეტად ღიას და გამჭვირვალეს გახდის. ამას ვერ პატიობენ ქართულ ხელისუფლებას, რომ ჩვენ არ ვაძლევთ უფლებას და საშუალებას, რომ აქ მაიდანი მოგვიწყონ, აქ ჩვენი ახალგაზრდები თავდაყირა დააყენონ და ცეცხლის ალში გაახვიონ ჩვენი ქვეყანა. **ჩვენ ყველაფერს ვიზამთ იმისთვის, რომ სიმშვიდე შევინარჩუნოთ და არავის მივცემთ**

უფლებას, რომ ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი რელიგია, ჩვენი ეროვნული ღირებულებები შელახონ და თავიანთი მარიონეტები დასვან ხელისუფლებაში…“

3.2. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

საანგარიშო პერიოდში „ქართული ოცნების“ პარლამენტმა დაჩქარებული წესით ახალი ანტიდემოკრატიული და ანტიკონსტიტუციური საკანონმდებლო ცვლილება მიიღო. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, მნიშვნელოვნად უარესდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტი, კერძოდ, ცილისწამებაზე დავისას **მტკიცების ტვირთი** მოსარჩელის ნაცვლად მოპასუხეს ეკისრება; კანონის შინაარსობრივი რეგულირება აქამდე თუკი „ადამიანის პირისპირ შეურაცხყოფას“ ეხებოდა, ცვლილებების ამოქმედების შემდეგ შეიძლება გავრცელდეს **„საჯარო სივრცეში შეურაცხყოფაზეც; კონფიდენციალური წყაროს, პროფესიული საიდუმლოების ან ინფორმაციის წყაროს არგამხელა** შესაძლოა, მოპასუხის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების საფუძველი გახდეს; ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის **თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ**; ზიანის ანაზღაურების წესით სასამართლოს მიერ ცილისწამებად მიჩნეული ქმედების უარყოფას ან შესწორებასთან ერთად, შესაძლოა **ქონებრივი/არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების** დაკისრებაც. ამასთან, შესულ ცვლილებებს ექნება 100-დღიანი უკუქმედების ძალა, რაც წარმოადგენს სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის დარღვევას.

კანონში შესული ცვლილებები „ქართული ოცნების“ მიერ დაწყებული რეპრესიების გაგრძელებაა, რომლითაც უხეშად იზღუდება გამოხატვის თავისუფლება, მედია და სამოქალაქო სივრცე.

„ქართული ოცნების“ სატელიტი ორგანიზაცია „საზოგადოება ქართული“ ცილისწამებისა და სიძულვილის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრებას აქამდეც არაერთხელ ითხოვდა. მათი თქმით, გამკაცრების მიზანი "ნეოლიბელაური აგენტურისგან" ეკლესიისა და პატრიარქის დაცვაა.

> საზოგადოება ქართული, 28 ივნისი ; „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით „…ბოკერია-რამიშვილის კანონად წოდებული ეს სამართლებრივი პრინციპები დღემდე ეფექტურად ემსახურებოდა გარე ძალების ინტერესებს, რომელთა მიზანი გაცხადებულია: ქართული საზოგადოების დაყოფა და რადიკალიზაცია, ავტორიტეტების შეურაცხყოფა, ისტორიის და ეროვნული სიმბოლოების, ყოველივე იმის დისკრედიტაცია, რაც გვაერთიანებს.

სწორედ ამიტომ **ნეოლიბერალური აგენტურა** განსაკუთრებული სიმწვავით ესხმოდა და **ესხმის თავს ეკლესიას და პატრიარქს,** ავრცელებს ჭორებს ისტორიულ პიროვნებებზე, გმირებზე, სათაყვანებელ მეფეებსა, თუ მოღვაწეებზე.“

4. მართლმადიდებელ ეპისკოპოსსა და „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსანს შორის დაპირისპირება

გიორგი ჯამდელიანის საქმე

საანგარიშო პერიოდში, 8 ივნისს, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსმა გიორგი ჯამდელიანმა ქადაგებისას მისი მკვლელობის მომზადებაზე ისაუბრა, რომელსაც ეპისკოპოსის თქმით, **უშიშროების სამსახურის წარმომადგენელი მაღალჩინოსანი** გადაბირებული მონაზვნის ხელით გეგმავდა. გიორგი ჯამდელიანს კონკრეტულ სახელები არ დაუსახელებია, თუმცა აღნიშნა რომ „*ეს კაცი არის მაღალჩინოსანი და კონკრეტულად უშიშროების უწყების წარმომადგენელი*“. ამავე დღეს, საქართველოს პროკურატურამ განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც გიორგი ჯამდელიანის მიერ გაკეთებული მისი მკვლელობის დაგეგმვის განცხადების საფუძველზე, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 18-108-ე მუხლებით (განზრახ მკვლელობის მომზადება) დაიწყო. 9 ივნისს, პროკურატურის განცხადებას ეპისკოპოსი გიორგი ჯამდელიანი გამოეხმაურა და თქვა, რომ ის პროკურატურასთან და პოლიციას თანამშრომლობას არ აპირებს, რისი უფლებაც საეკლესიო კანონიკის ნორმებით აქვს.

10 ივნისს, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის ფეისბუქ გვერდზე მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის საეპისკოპოსო სასამართლოს მიერ 6 ივნისს მიღებული განჩინება გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც ბრალდებული პირი გ.შ დამნაშავედ იქნა ცნობილი „*ეკლესიის წინააღმდეგ ჩადენილ უმძიმეს ცოდვაში, მკვლელობის ჩადენის მცდელობაში (დაგეგმვა და განხორციელების მცდელობა),*“ განაჩენად კი „გულწრფელ სინანულამდე“ აეკრძალა წმინდა და საღვთო ზიარების მიღება, სინანულის შემთხვევაში კი ოცი წელი უზიარებლობა. 22 ივნისს, საქართველოს საპატრიარქოს გაფართოებული სინოდალური კომისიის დასკვნით, საპტრიარქომ გიორგი ჯამდელიანის მიერ მიღებული განაჩენი შეაჩერა საქმესთან დაკავშირებულ სხვა დეტალებში გარკვევამდე. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, განჩინებაში აღნიშნული პირი გ.შ სავარაუდოდ, ქვემო ქართლის რწმუნებულის ყოფილი პირველი მოადგილე, ქართულ ოცნებასთან დაახლოებული პირი გიორგი შინჯიკაშვილია. 28 ივნისის ტელეკომპანია ფორმულას, „შაბათის ფორმულის“ ეთერში სპეციალური რეპორტაჟი გავიდა, სადაც ნაჩვენებია ჩანაწერი ეპისკოპოსის ოთახიდან. სიუჟეტში ჩანს უერთიერთდაპირისპირებული „გადაბირებული მონაზონი“ და „მაღალჩინოსანი“ პირი (ყოფილი გუბერნატორი, გიორგი შინჯიკაშვილი) რომელთა ურთიერთბრალდებებს უსმენს

გიორგი ჯამდელიანი, მისი მკვლელობის მცდელობის სიმართლის გამოსარკვევად. ჩანაწერში ჩანს და ასევე, ისმის ცეცხლასსროლი იარაღის საბრძოლო მოქმედებაში მოყვანის ხმაც.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქამდეც არაერთხელ ყოფილა რელიგიურ საქმიანობაში ჩარევაში დადანაშაულებული. საყურადღებოა, 2021 წელს ანონიმურად გავრცელებული და გამოქვეყნებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სავარაუდო უკანონო თვალთვალისა და მოსმენის 50,000-ზე მეტი ფაილი, რომლის მიხედვითაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, წლებია, სავარაუდოდ უკანონოდ უსმენს და უთვალთვალებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს. თუმცა კონკრეტულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა და ამ დანაშაულისთვის პასუხი არავის უგია.

გიორგი ჯამდელიანის საქმე სახელმწიფოსა და რელიგიური ინსტიტუტის ურთიერთობის თვალსაზრისით მრავალმხრივ პრობლემურია. ერთი მხრივ, იკვეთება გავლენიანი მართლმადიდებელი სასულიერო პირების მიერ პარალელური „მართლმსაჯულების“ აღსრულებისა და სეკულარობის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევის, მეორე მხრივ, რელიგიური ორგანიზაციის ავტონომიაში სახელმწიფოს მიერ ჩარევის, სასულიერო პირების, მათ შორის მონაზვნის უფლებების უხეში შელახვისა და სხვა მძიმე დანაშაულების სავარაუდო ფაქტები.

5. მართლმადიდებელი სასულიერო პირების განცხადებები პოლიტიკურ რეპრესიებსა და შეუწყნარებლობაზე

დადებითი ტენდენცია საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნდა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილი კვლავინდებურად კრიტიკულად ეხმაურებოდა „ქართული ოცნების“ ანტიდემოკრატიულ, ანტიევროპულ კურსსა და პროპაგანდისტულ განცხადებებს.

განცხადებები პოლიტიკურ რეპრესიებსა და პატიმრებზე:

> დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 22 ივნისი: „დააკვირდით რა დაარქვეს პატიმრებს - სინდისის პატიმრები. ეს ნიშნავს, რომ ადამიანები, რომლებმაც სინდისზე და გონიერებაზე უარი ვერ თქვეს, არიან დაპატიმრებულები. ჩვენი ერი გამარჯვებულად ხედავს დაპატიმრებულებს. დღეს ისინი პიროვნებები არიან, რომლებიც ქმნიან ერს. ერი იქმნება ეროვნებით და არა უბრალოდ ეთნოსით. შეეწიოს ღმერთი ჩვენს ერს, ყველ იმ პიროვნებას, რომელიც მონას არ ემონება, მჩაგვრელის არ ეშინია და გონებას არ თმობს, აზროვნებას არ თმობს და მიდის ციხეში და ამით იმარჯვებს... შეუძლებელია მშვიდობა იყოს იქ სადაც სამართალი არ ზეიმობს, მშვიდობა მხოლოდ სამართლიანობაშია. როცა სამართალდამცველები სამართლიანები არიან მაშინ არის მშვიდობა, როცა მთელი ერი ხედავს, რომ სამართალდამცველი უსამართლოა, ეს არ არის მშვიდობა არც ერისთვის და არც მათთვის, შეუძლებელია შვიდად იყვნენ. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენთან სამართლიანი მშვიდობა დამყარდეს.“
>
> ილია ჯინჯოლავა, არქიმანდტრიტი, 19 ივნისი: „დღეს, როცა უსამართლობა ღია ჭრილობას ჰგავს და სამართლიანობის ძიება სისხლივით გვდის ძარღვებში, საკუთარ თვალწინ ვხედავთ ისეთ საქმეებს, რომელთა გახმოვანება ჩვენთვის მოქალაქეობრივი და სულიერი ვალდებულებაა. ქალის მხრიდან სილის გაწნისთვის — 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ჯოხის მოქნევისთვის 21 წლის ახალგაზრდას — 4 წელი და 6 თვე პატიმრობა, ქუჩაში პროტესტის მშვიდობიანი გამოხატვისთვის — 5000 ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმა, ფეისბუქზე პოლიტიკოსისთვის მიუღებელი შეფასების (მაგ. „მონა“) გამოხატვისთვის — 4000 ლარიანი ჯარიმა, პირდაპირი დევნა — კრიტიკული მედიის მიმართ, პირდაპირი ტერორი — მომიტინგე ახალგაზრდების წინააღმდეგ, და ათობით პოლიტპატიმარი, მეგობარი ქვეყნებიდან მიღებული გრანტი და კეთილი საქმე — ღალატად და აგენტობად ფასდება. რამდენი კიდევ, ათეულობით უსამართლობის ფაქტის ჩამოთვლა შეიძლება და… „როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ დღეს თითოეული ჩვენგანი ქარის წინ მდგომ სანთელს ჰგავს — თუ ერთმანეთს არ დავფარავთ, გაგვაქრობს უღმერთო ძალადობა. …თუ დღეს დუმილით შევეგუებით ამ უსამართლობას, ხვალ ჩვენი შვილებიც იგრძნობენ იმავე დამცირებას, იგივე გზას საპატიმროსკენ. ჩვენი ისტორია სამართლიანობის ძიებით იწერება, ხოლო

ყოველი დუმილი — მომავალში სისხლივით წითელი ხაზია. ავმაღლდეთ სულით, განვმტკიცდეთ გონებით, არ დავნებდეთ სინდისის ხმის ჩახშობას.“

თამაზ ლომიძე, დეკანოზი, 12 ივნისი: „როცა კრიტიკულ საკითხებზე ჩემი აზრი გამომითქვამს, რა სიტყვებითაც მე ვულანძღივარ ხალხს, „მონა“ იმასთან შედარებით მოფერებაა. მაგრამ, ამას როგორ უნდა აჰყვე სერიოზული ადამიანი, როგორ უნდა მოგივიდეს თავში ამისთვის ვინმეს დასჯა, სასამართლოში ჩივილი ან შურისძიება ან როგორ პოულობენ თანამდებობის პირები ამ კომენტარების წასაკითხად და რეაგირებისთვის დროს? შენ, ხელისუფლებაში მყოფს ძალაუფლება გაქვს და დიდი უპირატესობა გაგაჩნია. მას არა აქვს ძალაუფლება და მისი უკმაყოფილება ან თუნდაც ბრაზი (ხელისუფლება კი ხშირად სცოდავს) ასე რომ გამოხატოს, ეს მისი უფლებაა და ჭკვიანმა ხელისუფალმა ეს არ უნდა მოუსპო ხალხს. ბრაზის გამოშვების ეს „ონკანიც“ თუ ჩაუკეტე ხალხს, იცოდე, ადრე თუ გვიან აფეთქება გარდაუვალი იქნება. ამიტომ, მინისტრი ხარ, პარლამენტარი თუ სხვა ხელისუფლების წარმომადგენელი ნუ დასდევ კომენტარებს, აკეთე შენი საქმე და აცალე ხალხს, სიტყვით მაინც, ბრაზის გამოშვება.“

განცხადებები პოლიტპატიმარ მათე დევიძის განაჩენთან დაკავშირებით:

12 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო გალუსტაშვილმა მათე დევიძეს განაჩენი გამოუტანა, დამნაშავედ ცნო და 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მათე დევიძე, 19 ნოემბერს აქციის დაშლის დროს პოლიციელებზე თავდასხმის ბრალდებით (ჯოხის დარტყმა) დააკავეს. განაჩენის გამოცხადებას მათე დევიძემ შემდეგი სიტყვებით უპასუხა: „სინათლის საძიებლად უსასრულო წყვდიადში“.

დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 12 ივნისი: „ეს ახალგაზრდობა რომც გააჩუმოთ ქვები დაიწყებენ ყვირილს თქვენს უსამართლობაზე.“

ლეონ გელოვანი, მღვდელი, 13 ივნისი: „ესეც ვიხილე მზის ქვეშ: სამართლის ადგილას – უკანონობა, სიმართლის ადგილას – უსამართლობაა.“ (ეკლესიასტე 3, 16)
ყოველი ლიტურგიისას გვესმის მღვდლის/დიაკონის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „ტყვეთა ხსნისა და ცხოვრებისა მათისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ“. ეკლესია ძველი დროიდან ლოცულობდა ტყვეთა ხსნისათვის, ცხადია არა იმისთვის, რომ დამნაშავე პატიმრებს არიდებოდათ პასუხისმგებლობა, არამედ სწორედ იმ ტყვეებისთვის, რომლებიც უსამართლოდ იყვნენ საპყრობილეში. „აუცილებლად დატოვებს საპატიმროს ყოველი უსამართლოდ დატყვევებული, ნამდვილი მშვიდობის ღმერთი არის და იქნება ამ თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირებთან, მაგრამ „ვაი მას, ვინც უსამართლობით იშენებს სახლს და უკანონობით – პალატებს!“ (იერემია 22)

ილია ჯინჯოლავა, არქიმანდრიტი, 12 ივნისი: „ბოლო დღეებია უსამართლობის სიმძიმე გულზე ლოდად დამაწვა. ვერც სიტყვები პოულობენ გზას, რომ სრულად გამოხატონ ის სულიერი ტკივილი, რომელიც ყელში გაჩხერილ ბურთივით მახრჩობს. ირგვლივ მოსჩანს ჩაგვრისა და დამცირების აღვირახსნილი ზეიმი, ტკივილით ტკბობა და სხვის უბედურებაზე ნებივრობა… და მაინც, რაც უნდა ბნელად წარიმართოს ისტორიის დროებითი მონაკვეთი, ბოროტებას არ ძალუძს უკანასკნელი სიტყვის თქმა. ბოროტება — ეს არის ხანგრძლივობის ილუზიით შეფუთული სიცრუე. ყოველი ჩაგრული ხმის უკან, ყოველი ცრემლის მიღმა მარადიული ჭეშმარიტება დგას. და ის, ვინც დღეს უმწეოდ გრძნობს თავს, ხვალ შესაძლოა აღმოჩნდეს ღვთის ნუგეშით განმტკიცებული.“

ზენონ იარაჯული, დმანისისა და აგარაკ-ტაშირის, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავარეპისკოპოსი, ფეიბუქ პოსტი, 13 ივნისი: „ამ თვალებში ამოკითხულმა ტკივილმა მთელი არსებით როგორ არ უნდა შეგძრას და შეგაზანზაროს ეპისკოპატო, ეპისკოპატო. ვინც ამათ ჩაგრავს დანამდვილებით მათთან საუბარს აზრი აღარ აქვს.“

განცხადებები მზია ამაღლობელის პატიმრობასთან დაკავშირებით:

პატიმრობაში მყოფი ჟურნალისტის, მზია ამღლობლის საქმე „ქართული ოცნების“ მიერ წარმოებული პოლიტიკური მართლმსაჯულებისა და მედიის თავისუფლების შეზღუდვის გამოხატულებაა. ის სისხლის სამართლის წესით 12 იანვარს დააკავეს.

დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 19 ივნისი: „ჟურნალისტმა, რომელმაც ხელი გაარტყა პოლიციელს, ციხეში ზის და პოლიციელები, რომლებმაც დალეწეს ჟურნალისტები და ხალხი, დააჯილდოვეს წმინდა გიორგის ორდენით. დააკვირდით, რატომ არ არის მათი სამართალი ქრისტიანული: წმინდა გიორგი მაწამებელი კი არ იყო, ის მოწამე იყო. როგორ შეიძლება, წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვო ის, ვინც ხალხს აწამებს? სამართლიანობა რაღაცას უნდა ეფუძნებოდეს. რას ეფუძნება ჩვენი სამართალი? ფარაონის სამართალს? ასე უნდა ფარაონს და იმიტომ? ეს ხომ არ არის სახელმწიფოებრივი მმართველობა, რაც ფარაონს უნდა, იმას აკეთებდე - არამედ რაც ერს სჭირდება, იმას უნდა აკეთებდე.“

დეკანოზი თამაზ ლომიძე, 23 ივნისი: „რატომ უნდა იჯდეს მზია ამაღლობელი ციხეში, რა საშიშროებას წარმოადგენს ერთი ჟურნალისტი ქალი საზოგადოებისთვის? „ყვარყვარეს ციხეს რომ დაამსგავსებ ქვეყანას, ის ქვეყანა ვერ განვითარდება, ის ყველას უბედურებაა!“

განცხადებები სასამართლო სისტემაზე და აღმსრულებელ მოსამართლეებზე:

საანგარიშო პერიოდში სინდისის პატიმრების ნაწილის სასამართლო პროცესები საბოლოო ეტაპზე გადავიდა და სასამართლო განაჩენების მოლოდინშია. პროცესზე მოსამართლეების უკანონო გადაწყვეტილებების და ზოგადად საქმის მიკერძოეუბულობის, პოლიტიკური მართლმსაჯულების გამო, მოსამართლეები და მათი ქმედებები საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა.

> დეკანოზი თევდორე ბასილაია, 16 ივნისი: „უსამართლო მოსამართლეებო, უსამართლო დამკვეთების ნების აღმსრულებელნო! არ დაგავიწყდეთ ფილმი „მონანიება“, როგორ შემოუტრიალდა უსამართლო მმართველს საკუთარი უსამართლობა შვილიშვილის სახით. გეშინოდეთ ღმერთისა და თქვენი მომავლის! ვისაც ცრემლი სდის ჩაგვრის, უსამართლო დევნისა და დასჯის გამო, იცოდეთ, ეს ცრემლი ღმერთამდე ადის. რადგან უფალმა ადამიანი სიხარულისა და თავისუფლებისთვის შექმნა, თქვენ კი ამ ღირებულებებს ანადგურებთ, რაც თითოეული ქართველის ყველაზე ძვირფასია, ღმერთი,სამშობლო ადამიანი. საქართველოს ახალი ადამიანები ქმნიან. ეს უსამართლობა უკვალოდ არ ჩაივლის თქვენს მომავალ ცხოვრებაში. ვინც მადლს თესავს, მადლს მოიმკის, ხოლო ვინც ცოდვას თესავს, ცოდვას მოიმკის-წმინდა პავლე მოციქული. შეინანეთ, სანამ დროა, თორემ გვიანი იქნება! თქვენი უსამართლო ქმედებებით ისტორიის ფურცლები უკვე აივსო. თავისუფლება არის ერის სინდისი, სიმართლე და სინათლე. საქართველო გადარჩება, საქართველო უკვდავია…“
>
> მღვდელი მაქსიმე ჩხეიძე, 7 ივნისი: „1. ვაი უსამართლო განაჩენის გამომტანთ და უკანონო მსჯავრისმდებელთ,
> 2. სამართლისგან რომ განარიდებენ ღარიბ-ღატაკთ, ამტყუნებენ ჩემი ერის ჩაგრულს, ქვრივებს ნადავლად იტაცებენ და ობლებს ძარცვავენ!
> 3. რას იზამთ განკითხვისა და დაქცევის დღეს, შორიდან რომ მოდის? ვისთან გაიქცევით შეწევნისთვის და თქვენს დიდებას სად დატოვებთ?
> 4. ვინ სად ჩაიჩოქებს ტყვეთა შორის, ვინ სად დაეცემა დახოცილთა შორის! მაინც არ დამცხრალა მისი რისხვა და კვლავ მოღერებულია მისი ხელი. ... “
> /ესაია 10:1-4/
>
> ილია ჯინჯოლავა, არქიმანდრიტი, 21 ივნისი: „ასეთი მონები როგორ უნდა იყვნენ ეს ე.წ. მოსამართლეები?! არანაირი სამართალი, არანაირი ტოლერანტობა და შემწყნარებლობა. სრულად დამონებულნი მახინჯ სისტემას! ადამიანის სახე დაკარგეს! ეს არაა მხოლოდ მათ პირადი მწუხარება, ეს ერის ტკივილია. ყველა ქრისტიანის პასუხისმგებლობაა, თავი არ დაუხაროს ასეთ „პილატეებს.“